

მიღწევის მოტივაციის კავშირი შფოთვისთან და თვითშეფასებასთან  
მაღალი კლასის მოსწავლეებში

მერი გეთია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი, PHD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის „მიღწევის მოტივაციის კავშირი შფოთვისთან და თვითშეფასებასთან“ ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მერი გეთია

26.06.2019

## სარჩევი

აბსტრაქტი	1
მადლობა	4
შესავალი	4
1 ლიტერატურის მიმოხილვა	6
1.1 თვითშეფასება	6
1.2 მოტივაცია	12
1.3 შფოთვა	22
მეთოდი	29
პროცედურა	31
კვლევის შედეგები	32
შედეგების განხილვა	36
დისკუსია	37
კვლევის შეზღუდვები	41
ბიბლიოგრაფია	42
დანართი	45

## აბსტრაქტი

მიღწევის მოტივაცია, თვითშეფასება და შფოთვა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. თვითშეფასება ყალიბდება ბავშვობაში და შემდგომ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანების მიღწევებს. გადაჭარბებული შფოთვა კი ხელისშემშლელი ფაქტორია და აფერხებს ინდივიდს, მიაღწიოს წარმატებას. ჩვენი საკვლევი თემა არის მიღწევის მოტივაციის კავშირი შფოთვისა და თვითშეფასებასთან. კვლევის მიზანია, დაადგინოს აქვს თუ არა კავშირი მიღწევის მოტივაციას შფოთვისა და თვითშეფასებასთან. ასევე გვინტერესებს დაფიქსირდება თუ არა გენდერული განსხვავება პასუხებში ამ თვალსაზრისით.

კვლევაში მონაწილე ცდისპრები არიან ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურის კლასების (მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე) მოსწავლეები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის, ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლისა და წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 140-მა ადამიანმა. კვლევაში მონაწილე გოგონებისა და ბიჭების რაოდენობა იყო თანაბარი. ჩვენი კვლევის ინსტრუმენტებია: ტ. ელერსის პიროვნების მიღწევის მოთხოვნილების დასადგენი კითხვარი, სპილბერგის პიროვნული შფოთვის საზომი და როზენბერგის თვითშეფასების კითხვარი.

შფოთვაზე, თვითშეფასებასა და მიღწევის მოტივაციაზე არაერთი კვლევა ჩატარებულა. სწორედ ამ კვლევების გაცნობის შედეგად და პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა ჩვენი ჰიპოთეზები.

ჩვენი კვლევის ჰიპოთეზები გამართლდა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიღწევის მოტივაცია დადებითად უკავშირდება თვითშეფასებას, ხოლო მოტივაციასა და შფოთვის შორის უარყოფითი კორელაცია დაფიქსირდა. რაც შეეხება გენდერულ განსხვავებას, მამრობითი სქესის წარმომადგენელ მოსწავლეებში მდებრობითი სქესის წარმომადგენელ მოსწავლეებთან შედარებით,

მაღალი თვითშეფასება და დაბალი შფოთვა დაფიქსირდა, ხოლო რაც შეეხება მოტივაციას, ამ შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა.

**საკვანძო სიტყვები:** შფოთვა, თვითშეფასება, მიღწევის მოტივაცია.

## **Abstract**

Achievement motivation, self-esteem and anxiety are the most related concepts. Self-esteem is formed in childhood and then significantly determines the achievement of people. Excessive anxiety is a hindering / prohibiting factor and hinders the individual to succeed.

The topic of our research is the motivation to achieve anxiety and self-esteem.

Purpose of the research is to determine whether there is connection between motivation to achieve with anxiety and self-esteem. Also we are interested if gender differences will be identified in answers.

The participants of the research are high school students, specifically of tenth, eleventh and twelfth classes.

In the following research were taking part Students of Vladimir Komarov's Tbilisi School of Physics and Mathematics N199 and Student's of Public School №2 of Tsalenjikha Region, Jvari. 140 people participated in the research and the gender balance was taken into account.

Our research tool will be the Diagnostic Method of self-esteem research needs (T. Ellers), personal anxiety questionnaire (Spillberg) and self-assessment questionnaire (Rosenberg).

There are a lot of researches on achievement motivation, self-esteem and anxiety on which our hypotheses have been formed. The hypotheses of our research were justified. Based on research was established that achievement motivation has positive connection with self-esteem, but there was established negative correlation between motivation and anxiety.

As for gender distinction, it was established that male representatives have higher self-esteem and low anxiety than female ones. As for motivation, in this case statistically significant difference was not observed.

**Keywords:** anxiety , self-esteem, motivation to achieve